EY LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

Building a better working world

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „ბათუმის აეროპორტის“ მფლობელებს

ჩვენ შპს „ბათუმის აეროპორტის“ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 27 აგვისტოს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია მმართველობით ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ზურაბ ნიკვაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 25 სექტემბერი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „ბათუმის აეროპორტის“ მფლობელებს

ჩვენ შპს „ბათუმის აეროპორტის“ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 27 აგვისტოს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია მმართველობით ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ზურაბ ნიკვაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 25 სექტემბერი

მმართველობითი ანგარიში 2018
შპს ბათუმის აეროპორტი

TAV Airports

სარჩევი

- აეროპორტის შესახებ	1
- ბიზნესის შესახებ	2-4
- 2018 წ მიმოხილვა	5
- მგზავრები და საჰაერო მოძრაობა	6
- პერსონალი	7
- ხარისხის მართვა	8
- უსაფრთხოება და უსაფრთხოება	9
- გარემოს დაცვა	10
- რისკები და გამოწვევები	11-12
- 2019 წელი	13
- სხვა	14

ამ ანგარიშის შინაარსი და შემცველობა და მისი შედგენა დაფუძნებულია მატერიალურობის პრინციპებზე. სტეიკჰოლდერების ჩართულობასა და ყოვლისმომცველობაზე, გლობალური ანგარიშგების ინიციატივის (GRI) გათვალსიწინებით. მასში განხილული საკითხები და მოყვანილი ინფორმაცია წარმოდგენილია მატერიალურობის გათვალისწინებით კომპანიის სხვადასხვა განყოფილებების მმართველების ჩართულობით განხორციელებული ანალიზის საფუძველზე.

ჰასან ტარიკ ოსმანაღაოღლუ _____ 25.09.2019

უფლებამოსილი წარმომადგენელი

მმართველობითი ანგარიში 2018
შპს ბათუმის აეროპორტი

სარჩევი

- აეროპორტის შესახებ	1
- ბიზნესის შესახებ	2-4
- 2018 წ მიმოხილვა	5
- მგზავრები და საჰაერო მოძრაობა	6
- პერსონალი	7
- ხარისხის მართვა	8
- ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	9
- გარემოს დაცვა	10
- რისკები და გამოწვევები	11-12
- 2019 წელი	13
- სხვა	14

ამ ანგარიშის შინაარსი და შემცველობა და მისი შედგენა დაფუძნებულია მატერიალურობის პრინციპებზე.სტეიკჰოლდერების ჩართულობასა და ყოვლისმომცველობაზე, გლობალური ანგარიშგების ინიციატივის (GRI) გათვალსიწინებით. მასში განხილული საკითხები და მოყვანილი ინფორმაცია წარმოდგენილია მატერიალურობის გათვალისწინებით კომპანიის სხვადასხვა განყოფილებების მმართველების ჩართულობით განხორციელებული ანალიზის საფუძველზე.

ჰასან ტარიკ ოსმანაღაოღლუ_____

უფლებამოსილი წარმომადგენელი

აეროპორტის შესახებ

ბათუმის აეროპორტის შესახებ

ბათუმის აეროპორტი არის TAV Airports Holding-ის ჯგუფის წევრი რომელმაც საქართველოში ოპერირება 2007 წელს დაიწყო და განახორციელებს საქმიანობას 2027 წლამდე არსებული ხელშეკრულების ფარგლებში.

მზარდი ბიზნესის, დაგროვილი გამოცდილებისა და ეფექტური მმართველობით პრაქტიკის კვალდაკვალ კომპანიამ მოახერხა გამხდარიყო ერთ-ერთი ყველაზე საიმედო, სტაბილური და დინამიური კომპანია საქართველოში.

2018 წლის განმავლობაში ბათუმის აეროპორტი სადაც დასაქმებულია 160-ზე მეტი თანამშრომელი მოემსახურა 598 ათასამდე მგზავრს.

ბათუმის აეროპორტის ტერმინალი

<u>პროექტის ინფორმაცია</u>

საოპერაციო პერიოდი: 20 წელი (2027 წ.-მდე)

<u>ინფორმაცია ტერმინალის შესახებ</u>

ტერმინალის ტერიტორია: 232,750 კვ.მ.

საპარკინგე სივრცე: 100 ავტ.

ბარგის კონვეირი: 1 ც

სარეგისტრაციო პუნქტი: 6 ც

ახალი ტერმინალის შენობა: 4,256კვ.მ.

Duty Free მაღაზია

ბიზნეს ლაუნჯი

რესტორანი და კვების ობიექტები

კომერციული ობიექტები

ბიზნეს საქმიანობის მიმოხილვა

ბათუმის აეროპორტი არის ტავ ჰოლდინგის წარმატებული ბიზნეს მოდელი, რომელიც Build-Operate-Transfer პირობაზეა დაფუძნებული და ინტეგრირებული სერვისების შეთავაზებით ქმნის წარმატებულ აეროპორტების მართვის პლატფორმას.

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს სამგზავრო საავიაციო და სახმელეთო სერვისების სრულ სპექტრს ხანგრძლივი გამოცდილების, ცოდნისა და პროფესიონალიზმის კოორდინირებით რათა ემსახუროს მომხმარებლებსა და საზოგადოებას. კომპანიის მენეჯმენტს მტკიცედ სწამს, რომ მომხმარებლისა და პარტნიორების კომფორტი უმნიშვნელოვანესია და ყველა ქმედება ამ ღირებულების ირგვლივ ერთიანდება.

ბათუმის აეროპორტს გააჩნია ორი კატეგორიის სერვისი: საავიაციო და არასაავიაციო. პირველი მოიცავს მგზავრთა გადაყვანისა და სახმელეთო საავიაციო მომსახურებებს, ხოლო მეორე წარმოადგენს არასაოპერაციო, არა პროფილური ტიპის მომსახურებას.

- მგზავრთა გადაყვანა
- სახმელეთო საავიაციო მომსახურება
- იჯარა: Duty free
- იჯარა: კვების ობიექტები
- იჯარა: კომერციული ობიექტები
- პარკინგი
- CIP ლაუნჯი



85%-მდე შემოსავლებისა მოდის საავიციო [სატერმინალო+სახმელეთო] მომსახურებებზე ხოლო დანარჩენი - არაპროფილურ სერვისებზე. სატერმინალო მომსახურება მოიცავს მგზავრთა მომსახურებას ტერმინალის ფარგლებში, ხოლო სახმელეთო - ხომალდებისა და მგზავრთა მომსახურებას რომელიც ხორციელდება ასაფრენ-დასაფრენ ბილიკსა და პერონზე.

საავიაციო სერვისები



მგზავრთა მომსახურება

მგზავრთა მომსახურება მოიცავს მგზავრთა გადაყვანის სრულ ციკლს, ერთ მხრივ მათი რეგისტრაციიდან ჩასხდომამდე და მეორე მხრივ ხომალდის დატოვებიდან პასპორტის კონტროლამდე.
სამზგავრო გადასახადი ერიცხება თითოეული მგზავრის გადაყვანისთვის და განსხვავებულია საშინაო, საგარეო და ტრანზიტული ფრენებისთვის.

სამგზავრო გადასახადი ერიცხება IATA-ს განსაზღვრული წესების შესაბამისად. გამონაკლისები შემდეგია:

- *2 წლამდე ბავშვები*
- *ქვეყნის მეთაურები*
- *ბორტის წევრები*
- *დეპორტირებული მგზავრები*
- *ავიამარშალები*
- *ჰუმანიტ. დახმარების მისიები*
- *ტექნიკური დავების შემთხვევები*
- *გადამისამართებული ფრენები*

დაფრენის მოსაკრებელი

დაფრენის მოსაკრებელი ერიცხება საჰაერო ხომალდებს აეროპორტით სარგებლობისას; ის განსხვავებული ოდენობისაა საშინაო და საგარეო ფრენებისთვის და დამოკიდებულია ხომალდის მაქსიმალურ ასაფრენ წონაზე (MTOW). 14 MTOW-ზე მეტის შემთხვევაში მოსაკრებელი იზრდება.

დაფრენის მოსაკრებელი დღის დროის მიხედვითაც განსხვავებულია (20:00-06:00 and 18:00-08:00). გამონაკლისები მოსაკრებლის დარიცხვისგან არის: ავარიული დაშვებები, სადემონსტრაციო ფრენები და ალტერნატიული დაშვებები უამინდობის გამო.

სახმელეთო საავიაციო მომსახურება

სახმელეთო საავიაციო მომსახურება არის მნიშვნელოვანი ნაწილი მთლიანი შემოსავლებისა და წარმოადგენს ხომალდებსა და მგზავრებზე გაწეულ ყველა ტიპის მომსახურებას ვიდრე ისინი იმყოფებიან ტერმინალის ტერიტორიაზე. რამპის მომსახურების პერსონალი ეხმარება ავიახომალდებს კომფორტულ გადაადგილებაში ბაქნის ტერიტორიაზე და მგზავრობის კომფორტს უზრუნველყოფს. ტვირთის კონტროლი, ბარგის გადაზიდვები, მგზავრთა ტრანსპორტირება და სხვა მომსახურებები წარმოდგენილია საავიაციო სახმელეთო მომსახურების ფარგლებში.



ძლიერი ზრდის კვალდაკვალ რომელიც სახეზე იყო 2017-2018 წლებში როგორც საჰაერო ტრაფიკის ასევე მგზავრთა რაოდენობის კუთხით (14% და 21% შესაბამისად) კომპანიას საგრძნობი ზრდა ჰქონდა პროფილურ სერვისებში.

ბიზნესის შესახებ

არასაავიაციო მომსახურება

იჯარა (კონცესია)

ბათუმის აეროპორტი საიჯარო მომსახურებას უწევს Duty Free ზონის ოპერატორებსა და კვების ობიექტებს.

- ATU Duty Free არის duty free სერვისების პროვაიდერი აეროპორტის ტერიტორიაზე. გაყიდვების პროპორციულ წილს იგი უხდის ბათუმის აეროპორტის.
- კომპანია რომელიც კვების ობიექტებით ემსახურება აეროპორტს არის BTA საქართველო, რომელიც უშუალოდ თანამშრომლობს კვების ობიექტებთან.
- BTA საქართველო ასევე სთავაზობს კაფეტერიას აეროპორტის თანამშრომლებისთვის, რომელსაც აფინანსებს ბათუმის აეროპორტი.

გარდა ამისა, ბათუმის აეროპორტი ასევე იჯარით გასცემს ტერმინალის ტერიტორიაზე არსებულ ფართებს კომერციულ და საოფისე დანიშნულებით. 2018 წლის ბოლოსთვის ტერმინალის ტერიტორიაზე განთავსებული იყო მრავალი მოიჯარე, ავიაკომპანიების ოფისებიდან დაწყებული დამთავრებული სავალუტო ჯიხურებით, ბანკის ოფისებით, სუვენირების მაღაზიებითა და სხვა კომერციული ობიექტებით რომლებიც ტერმინალის სივრცეს მრავალფეროვანსა და კომფორტულს ხდის მგზავრებისთვის.



2018 წლის მიმოხილვა

2018 წელი მოკლედ

ავიაკომპანიები

2018 წელი ბათუმის აეროპორტისთვის იყო დინამიურად მზარდი წელი. განსაკუთრებული ზრდა იყო რუსული და ახლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. ასევე სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებიდან როგორებიცაა ყაზახეთი, ბელორუსია.

ზაფხულის სეზონისთვის გარდა 4 ახალი ავიაკომპანიისა რომელიც შემოვიდნენ რეგულარული რეისებით, ასევე დაემატა ახალი სეზონური ჩარტერული რეისები ახლო აღმოსავლეთის მიმართლებებიდან როგორებიცაა თელ-ავივი და იორდანია.

საქართველოს ავიახაზებმა ["აირზენა"] დაამატეს 7 ახალი მიმართლება ბათუმის აეროპორტიდან ევროპის ქვეყნების მიმართლებით. ასევე ოპერირება დაიწყეს ორმა ახალმა ქართლმა ავიაკომპანიამ MyWay Airlines და AK Air-მა.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის აეროპორტი ზაფხულის პერიოდში მიუახლოვდა გამტარიანობის/დატვირთულობის თითქმის მაქსიმუმს, თუმცა სწორი მენეჯმენტით, პროცესების და მომსახურების მექანიკის დახვეწის გზით აეროპორტი ყველა საერთაშორისო სტანდარტს მგზავრთა მომსახურების ეფექტურობის კოეფიციენტების კუთხით წარმატებით გაუმკლავდა.

ინვესტიციები

წლის განმავლობაში განხორციელდა დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ჯამში კაპიტალურმა დანახარჯებმა შეადგინა 2.3 მილიონი ლარი, საიდანაც 1.6 მილიონი ლარი შეადგენდა საავიაციო ინფრასტრუქტურის წილს.

ინვესტიციებმა მანქანა-დანადგარების მიმართულებით წლის განმავლობაში 470 ათას ლარამდე შეადგინა.

მგზავრები და საჰაერო ტრაფიკი

სამგზავრო და საჰაერო ტრაფიკი



მგზავრების რაოდენობამ 2018 წლის განმავლობაში 20%-ით გადააჭარბა როგორც 2017 წლის მონაცემებს ასევე 2018 წლის ბიუჯეტირებულს.



წლის განმავლობაში ჯამურად გადაყვანილ მგზავრთა ნახევარზე მეტის [52%] აეროპორტი მოემსახურა ზაფხულის სამი თვის განმავლობაში.

მგზავრები

	2017A	2018A	17 / 18	2019 *
შიდა	**22,768**	**16,519**	**-27%**	**23,237**
გაფრენა	12,782	9,674	-24%	13,178
ჩამოფრენა	9,986	6,845	-31%	10,059
საერთაშორისო	**472,936**	**582,343**	**23%**	**586,314**
გაფრენა	238,502	292,717	23%	296,990
ჩამოფრენა	234,434	289,626	24%	289,324
ჯამი	**495,704**	**598,862**	**21%**	**609,551**

**2019 წლის ციფრები არის 8 თვის რეალური და 4 თვის პროგნოზი*

აღსანიშნავია რომ 2019 წლის მონაცემებში ასახულია რუსული საჰაერო ემბარგოს ეფექტი რომელსაც გავლენა ჰქონდა ივლისი-აგვისტოს თვეებზე.

საჰაერო ტრაფიკი (ხომალდები)

	2017A	2018A	17 / 18	2018 *
შიდა	**1,002**	**946**	**-6%**	**1,171**
გაფრენა	501	473	-6%	585
ჩამოფრენა	501	473	-6%	585
საერთაშორისო	**4,372**	**5,166**	**18%**	**4,792**
გაფრენა	2,186	2,583	18%	2,396
ჩამოფრენა	2,186	2,583	18%	2,396
ჯამი	**5,374**	**6,112**	**14%**	**5,962**

**2018 წლის ციფრები არის 8 თვის რეალური და 4 თვის პროგნოზი*

2018 წლის 14%-იანი ზრდა 2017 წელთან შედარებით იყო სეზონური ჩარტერული რეისების ზრდის შედეგი. 2019 წელს კომპანია ელოდება კლებას რუსული საჰაერო ემბარგოს შედეგად.

პერსონალი

პერსონალი

ბათუმის აეროპორტის მენეჯმენტს აქვს რწმენა რომ თითეული თანამშრომელი კომპანიის აქტივია. კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების სამუშაო გარემოს შესაფერის და შესაბამის კომფორტზე, რომ მათ საქმიანობა იყოს ეფექტური როგორც კომპანიის მიზენსბისთვის ასევე თანამშრომლებისთვის. თანამშრომლებისადმი თანაბარი შესაძლებლობების შეთავაზება და მათ განვითარებაზე ზრუნვა ადამიანური რესურსების დეპარტამენტის მთავარი პრიორიტეტია.

კომპანია თანამშრომლებს უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაზღვევით.
აგრეთვე უფასოდ სთავაზობს დღიურ კვების მომსახურებას კომპანიის კაფეტერიაში (რომლის ხარჯმაც 2018 წელს 450 ათასი ლარი შეადგინა)
გარდა ამისა უზრუნველვყოფთ უფასო ტრანსპორტირებას სამსახურში და სამსახურიდან შინ.

ტრეინინგები თანამშრომლებს უტარდებათ მათი სამსახურის შინაარსიდან გამომდინარე. კომპანიამ ასევე შეიმუშავა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა რომლის დაცვაც თითეული თანამშრომლის ვალდებულებაა. სამსახურის დაწყებისას თითეული თანამრომელი ეცნობა უსაფრთხოების სახელმძღანელოს.

კომპანია განუხრელად იცავს ადგილობრივ შრომითი კოდექსის მოთხოვნებს.

	2017	2018	18 / 17
იანვარი	117	141	21%
ერვალი	114	140	23%
მარტი	113	138	22%
აპრილი	113	144	27%
მაისი	115	187	63%
ივნისი	122	190	56%
ივლისი	129	199	54%
აგვისტო	128	196	53%
სექტემბერი	126	198	57%
ოქტომბერი	118	165	40%
ნოემბერი	118	161	36%
დეკემბერი	118	160	36%
საშუალო:	**119**	**168**	**41%**

თანამშრომელთა რაოდენობის ზრდამ 2018 წელს [წლიური საშუალო] 2017 წელთან შედარებით შეადგინა 41%.

პერსონალის ხარჯის 15%-ზე მეტს წარმოადგენს არაფინანსური ბენეფიტები როგორიცაა კვება, ტრენინგები, დაზღვევა და ა.შ.

2018 წელს პერსონალის ხარჯები გაიზარდა 17%-ით წინა წელთან შედარებით. შემოსავლების 21%-იანი ზრდის პირობებში ეს კარგად გვიჩვენებს პერსონალისა და მმართველი რგოლის მუშაობის ეფექტურობას.

ხარისხის მართვა

ხარისხის პოლიტიკა

ბათუმის აეროპორტში ხარისხის მართვა ხდება ხარისხის მართვის დამტკიცებული სახელმძღვანელოს მიხედვით, რომელიც ეფუძნება როგორც ტავ ჰოლდინგის ჯგუფის შიდა სტანდარტებს ასევე IATA-სა და ICAO-ს მიერ დადგენილ შესაბამისობის პრინციპებსა და წესებს.

კომპანიას ჰყავს ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელი პირი რომლის კომპეტენცია და ვალდებულებაა აეროპორტი თანხვედრაში იყოს საოპერაციო და საავიაციო უსაფრთხოების კუთხით არსებული ხარისხის კონტროლის მოთხოვნებთან.

ISO სტანდარტებისა და IATA-ს მიერ დადგენილი შესაბამისი ხარისხის მართვის ღონისძებები რეგულარულად ხორციელდება შიდა აუდიტების (კომპანიის და ჯგუფის დონეზე) ჩატარების გზით. გარდა ამისა BOT ხელშეკრულების მიხედვით კომპანიას აქვს ვალდებულება კონკრეტულად გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით ახორციელებდეს ხარისხის მართვის პროცესს, რომლის კრიტერიუმები ISO-ს სტანდარტებთან და IATA-ს მოთხოვნებთან არის თანხვედრაში. ესენია:

ხარისხის პარამეტრი	განყოფილება	შემოწმების სიხშირე	
		ტავ ჯორჯია	გარე კონს.
ავტოპარკინგი	Terminal Operation	ყოველთიური	კვარტალური
რეგისტრაცია	Passenger Handling	ყოველთიური	კვარტალური
უსაფრთხოების კონტროლი	Terminal Operation	ყოველთიური	კვარტალური
ბარგის გადატანა - საერთაშ.	Ramp Handling	ყოველთიური	კვარტალური
ჩასხდომის ხიდები	Technical Department	ყოველთიური	კვარტალური
საინფორმაციო მონიტორები	IT Department	ყოველთიური	კვარტალური
ესკალატორები, ლიფტები	Technical Department	ყოველთიური	კვარტალური
ავტომატიზირებული მომსახ.	Technical Department	ყოველთიური	კვარტალური
ბარგის ურიკები	Terminal Operation	ყოველთიური	კვარტალური
შშმ მგზავრების მომსახურება	Passenger Handling	ყოველთიური	კვარტალური
განსაკუთრებული საჭიროების მგზავრთა მომსახურება	Passenger Handling	ყოველთიური	კვარტალური
საინფორმაციო / საჩივრების დესკი	Terminal Operation	ყოველთიური	კვარტალური
ტრანზიტული მგზავრები	Passenger Handling	ყოველთიური	კვარტალური
ტერმინალის მდგომარეობა	Technical Department	ყოველთიური	კვარტალური
საჩივრების მართვა	QMS	ყოველთიური	კვარტალური

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა

ბათუმის აეროპორტისთვის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობის სფეროებს შორის, ყველაზე პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. ორგანიზაციის ფარგლებში ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურების განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება, რაც ქმნის უკეთეს სამუშაო გარემოს და ხელს უწყობს თავიდან იქნას აცილებული შესაძლო რისკი თუ პირობები, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ჩვენს ჯანმრთელობას.

გვჯერა რომ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ყველა პროცედურა, რაც დაკავშირებულია სამუშაო პროცესთან, ზუსტად უნდა იქნას შესრულებული, რათა მგზავრები, სტუმრები და აეროპორტის პერსონალი დაცულნი იქნან ნებისმიერი გაუთვალისწინებელი სიტუაციისგან ან შეცდომისაგან, რაც შესაძლებელია, რომ უბედური შემთხვევის მიზეზი გახდეს.
მთავარ მიზანს წარმოადგენს სამუშაოს უსაფრთხო, პროდუქტიული და ხარისხიანი შესრულება. ჩვენი თანამშრომლები დამქირავებელთან ერთად ცდილობენ უსაფრთხოების უზრუნველყოფას თავიანთი კეთილდღეობისა და აეროპორტის გამართული ფუნქციონირებისთვის.

კომპანიას აქვს აუცილებელი პროგრამა, რომელსაც პრაქტიკაში ახორციელებს და ამასთანავე, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ორიენტირებული სახელმძღვანელო.

სამართლებრივი სქემა

კომპანია ინიციატივებს ახორციელებს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის და სამოქალაქო ავიაციის ადგილობრივი და საერთაშორისო წესდების შესაბამისად. ზემოთქმულის არარსებობის ან არაეფექტურობის შემთხვევაში, სექტორისთვის ან საერთაშორისო პრაქტიკისათვის შესაბამისი პროცედურები სრულდება.

ფუნქციები და პასუხისმგებლობები

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკას, რომელიც შედგენილია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ოფიცრების მიერ და ამტკიცებს ადმინისტრაცია, განიხილება, იხვეწება და რეგულირდება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ოფიცრების მიერ. პერსონალი და უმაღლესი მენეჯმენტი ერთად ცდილობს რომ მიაღწიონ იმ მიზნებს, რაც პოლიტიკაშია დასახული. ყველა დეპარტამენტს ეკისრება პასუხისმგებლობა, ინდივიდუალურად მიიღოს შესაბამისი ზომები და განახორციელოს საჭირო ღონისძიებები.

გარემოს დაცვა

გარემოსდაცვითი პოლიტიკა

ბათუმის აეროპორტი მოწოდებულია ბიზნესსაქმიანობა განახორციელოს ეთიკური და სოციალური ნორმების დაცვით ანუ იმგვარად, რომ რაიმე ზიანი არ მიადგეს გარემოს.

კანონმორჩილება

ჩვენ მზად ვართ დავიცვათ ყველა მოქმედი ადგილობრივი, სახელმწიფო თუ საერთაშირისო კანონი თუ დირექტივა, ასევე, ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც ვთვლით, რომ შეესაბამება ჩვენს საქმიანობასთან და მომსახურებასთან დაკავშირებულ ეკოლოგიურ ასპექტებს. ჩვენ ვნერგავთ და განვახორციელებთ პროგრამებსა და პროცედურებს, რაც დაადასტურებს ჩვენს მორჩილებას ამგვარი კანონების, წესებისა და მოთხოვნების მიმართ ჩვენი ბიზნესსაქმიანობიდან გამომდინარე. ამასთანავე, იმ ორგანიზაციებს, რომელთანაც გვაქვს ბიზნესურთიერთობა განუხრელად ვავალდებულებთ გამოიჩინონ მსგავსი კანონმორჩილება.

პრევენცია

კომპანია ძალისხმევას არ იშურებს მანამ მივიღოთ გარემოს დაბინძურების აღმკვეთი ზომები, ვიდრე საფრთხე რეალური გახდება. ვცდილობთ მინიმუმამდე დავიყვანოთ ჩვენი უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე შესაბამისი მიზნებისა და ამოცანების დასახვით, რაც თავის მხრივ გააუმჯობესებს გარემოზე ზემოქმედების მაჩვენებელს. ჩვენ ვითვალისწინებთ გარემო ფაქტორებს დაგეგმვის, შესყიდვების ან გადაწყვეტილებების მიღების დროს.

ინფორმირებულობა

გარემოს პოლიტიკას ვაცნობთ პერსონალს, კონტრაქტორებს და მომწოდებლებს, რათა დავარწმუნოთ ისინი ჩვენს ზრუნვაში გარემოზე. შესაბამისი ტრეინინგები უტარდება ყველა თანამშრომელს, რათა ისინი მუდმივად იყვნენ ინფორმირებულები იმ პასუხისმგებლობების შესახებ, რაც გვეკისრება გარემოს წინაშე.

მუდმივი გაუმჯობესება

შევაფასებთ და მუდმივად სრულვყოფთ გარემოს მართვის სისტემის ეფექტურობას პერიოდული აუდიტების და მართვის სისტემის შემოწმების ჩატარებით. ასევე, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული დასახული მიზნების მიღწევით. გარემოს მართვის პოლიტიკა გადაიხედება ყოველწლიურად და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვს.

რისკები და გამოწვევები

ფინანსური რისკები

როგორც აღნიშნულია ფინანსურ უწყისში რისკების ქვეთავში, კომპანია შესაძლოა დადგეს საკრედიტო, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკების წინაშე.რამდენადაც ბათუმის აეროპორტი დიდი ჯგუფის წევრია, რისკების უმეტესი ნაწილი კონტროლდება ჯგუფის დონეზე. უმეტესობა ფინანსური ვალდებულებებისა არის ჯგუფის წევრი კომპანიების მიმართ. კომპანიის რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერირების უზრუნველყოფა საკმარისი ფინანსური რესურსების გენერირების მიზნით, რომ ემსახუროს მიმდინარე კაპიტალურ ხარჯებსა და ვალდებულებებს.

საკრედიტო რისკი
კომპანიის საკრედიტო პოლიტიკა იძლევა კლიენტების ინდივიდუალური და ზოგადი პარამეტრებით შეფასების საშუალებას. უმეტესობა კლიენტებისა გრძელვადიან აპრტნიორობის პერიოდს ითვლის ხოლო ახალ კლიენტებთან დეპოზიტური და საავანსო გადახდის ფორმატია შემუშავებული.
კომპანია პერმანენტულ მონიტორინგს უწევს საკრედიტო რისკისადმი გახსნილობას, როგორც ეს წარმოდგენილია ფინანსური უწყისების მე-20 პუნქტის პირველ ქვეპუნქტში.

სავალუტო რისკი
ბათუმის აეროპორტი სავალუტო რისკებს აზღვევს საკმარისი უცხოური ვალუტის ფლობით. უმეტესობა კონტრაქტებისა არის აშშ დოლარში. სავალუტო რისკის მუდმივი მონიტორინგი ხდება სენსიტიურობის ანალიზის მეშვეობით.

არა-ფინანსური რისკი

ფინანსური რისკების გარდა კომპანიას წინაშე დგას არაფინანსური რისკები. ასეთი რისკების და მათ სავარაუდო შედეგების სასურველ დაბალ დონეზე შენარჩუნება კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის საფუძელია.

ბიზნეს რისკები
განახლებული BOT ხელშეკრულების შედეგად კომპანიას 2027 წლამდე გააჩნია ოპერირების უფლება. ბათუმის აეროპორტი სრულად აკმაყოფილებს ამ ხელშეკრულების ვალდებულებებს და მოთხოვნებს. კომპანია მოწოდებულია განაგრძოს ინვესტირება და შეინარჩუნოს აეროპორტის კომფორტული და საიმედო ფუნქციონირების სტანდარტი.

რისკები და გამოწვევები

კონკურენცია

ხარისხითა და მომსახურების დონით ბათუმის აეროპორტი დარწმუნებულია რომ ადგილობრივი კონკურენცია არ წარმოადგენს მატერიალურ გამოწვევას. მიუხედავად კუთაისის აეროპორტის მზარდი პოპულარობისა დაბალ-ბიუჯეტიანი მგზავრებისთვის, კომპანია საკუთარ საბაზრო სეგმენტზე საიმედო და ძლიერი მოთამაშეა დასავლეთ საქართველოში.

რეპუტაციული რისკები

რეპუტაცია და გუდვილი ბათუმის აეროპორტისთვის სტრატეგიული აქტივებია. არსებობს რისკები, რომ ნებისმიერი არასწორი ქმედება და დაუდევრობა, ასევე სტანდარტებისგან გადახვევა, შესაძლოა სერიოზული რეპუტაციული ხიფათის გამომწვევი აღმოჩნდეს. ამდენად კომპანია მუდმივ მონიტორინგს უწევს და აფასებს რეპუტაციულ რისკებს რათა მაქსიმალურად შეამციროს მათი დადგომის ალბათობა და შესაძლო ნეგატიური გავლენა.

2019 წელი

მგზავრები და საჰაერო ტრაფიკი

2019 წელს კომპანიას ბიუჯეტირებული ჰქონდა 15%-იანი ზრდა 2018 წელთან შედარებით.
მიუხედავად პირველი ნახევრის პოზიტიური შედეგებისა, 2019 წლის ივლისიდან გავლენა იქონია რუსულმა საჰაერო ემბარგომ, რამაც შედეგები მკვეთრად გააუარესა.

მგზავრთა ნაკადი

	2018A	2019 P0	2019 8+4	18A/19 (8+4)	18A/19 PO	19P0/19 (8+4)
შიდა	**16,519**	**24,081**	**23,237**	**41%**	**46%**	**-4%**
გაფრენა	9,674	14,028	13,178	36%	45%	-6%
ჩამოფრენა	6,845	10,054	10,059	47%	47%	0%
საერთაშორისო	**582,343**	**664,309**	**586,314**	**1%**	**14%**	**-12%**
გამგზავრება	292,717	336,019	296,990	1%	15%	-12%
ტრანზიტი	289,626	328,290	289,324	0%	13%	-12%
ჯამი	**598,862**	**688,390**	**609,551**	**2%**	**15%**	**-11%**

P0 = 2019 საწყისი პროგნოზი, 2019 (8+4)= 2018 წლის განახლებული პროგნოზი 2019 წლის აგვისტოს მდგომარეობით.

დაგეგმილთან შედარებით 2019 წლის [8 თვის რეალური და 4 თვის ბიუჯეტირბეული] მგზავრთა ნაკადი 11%-ითაა შემცირებული. ეს ვარდნა სრულად უკავშირდება რუსული ავიაკომპანიების მიერ ფრენების გაუქმებას. თუმცა 2019 წელი დაგეგმილია, რომ მცირედით [2%] მაინც გადააჭარბებს 2018 წლის მონაცემებს მგზავრთა ნაკადის კუთხით და მიაღწევს 610 ათას მგზავრს.

საჰაერო ტრაფიკი

Years	2018A	2019 P0	2019 8+4	18A/19 (8+4)	18A/19 PO	19P0/19 (8+4)
შიდა	**946**	**1,146**	**992**	**5%**	**21%**	**-13%**
გაფრენა	473	573	496	5%	21%	-13%
ჩამოფრენა	473	573	496	5%	21%	-13%
საერთაშორისო	**5,166**	**5,764**	**4,848**	**-6%**	**12%**	**-16%**
გამგზავრება	2,583	2,882	2,426	-6%	12%	-16%
ტრანზიტი	2,583	2,882	2,422	-6%	12%	-16%
ჯამი	**6,112**	**6,911**	**5,840**	**-4%**	**13%**	**-15%**

P0 = 2019 საწყისი პროგნოზი, 2019 (8+4)= 2018 წლის განახლებული პროგნოზი 2019 წლის აგვისტოს მდგომარეობით.

სხვა

ფინანსური რეპორტინგი

მას შემდეგ რაც ტავ ჰოლდინგი გახდა ფრანგული Airport De Paris ჯგუფის წევრი, ხდება საოპერაციო და მმართველობითი პროცესების ჯგუფის დონეზე სინქრონიზაცია.

ამ პროცესის ფარგლებში 2018 წლიდან ხორციელდება ფინანსური რეპორტინგის ახალი პლატფორმის დანერგვა. ნაცვლად არსებული Oracle Hyperion პროგრამისა, 2018 წლის ბოლოდან ფინანსური რეპორტინგი ხორციელდება SAP BFC პლატფორმაზე, რომელსაც იყენებს როგორც სტამბულის ისევე პარიზის სათავო ოფისები.
ახალი პლატფორმა იძლევა ფინანსური რეპორტინგის უფრო დეტალურ და მოქნილ წარმოების საშუალებას.

2019 წლიდან ყოველთიური ფინანსური რეპორტების წარმოება ხდება SAP BFC პლატფორმის საშუალებით.
ეს პროცესი შეეხო ასევე ჯგუფის შიდა რეპორტინგის პროცესს (Intercompany Reporting) რომელიც მანამდე ხორციელდებოდა Hyperion-ის პლატფორმაზე.

გარდა პლატფორმის ცვლილებისა ჯგუფის შიდა რეპორტინგის პროცესში შეიცვალა რეპორტების პრინციპი. ახალი სისტემის მიხედვით ჯგუფის კომპანიებს შორის ტრანზაქციებისა და ბალანსების აღრიცხვა ხდება არა კუმულაციური თანხობრივი ბალანსების დონეზე, არამედ ინდივიდუალური ინვოისის დონეზე ჩაშლით.
ამ ცვლილებამ ჯგუფში შემავალი კომპანიებს შორის რეპორტინგი უფრო ზუსტი და დეტალური გახადა და მინიმუმამდე დაიყვანა შეცდომების რისკი

გარდა ამისა, დაიწყო ჯგუფის დონეზე რისკების მართვის ჩარჩოს შემუშავება. 2019 წლის ბოლომდე მოხდება ამ პროცესის შეჯერება და კომპანია მოახდენს რისკების მართვის პროცედურების განახლებას.

შპს „ბათუმის აეროპორტი“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „ბათუმის აეროპორტი“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება 4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები..... 8-31

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბათუმის აეროპორტის“ მფლობელებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ბათუმის აეროპორტის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია ასახულია კომპანიის 2018 წლის წლიურ ანგარიშში

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2018 წლის წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2018 წლის წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არც ახლა და არც მომავალში გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენს ანგარიშში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

27 აგვისტო 2019 წ.

EY LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

Building a better working world

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბათუმის აეროპორტის“ მფლობელებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ბათუმის აეროპორტის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია ასახულია კომპანიის 2018 წლის წლიურ ანგარიშში

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2018 წლის წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2018 წლის წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არც ახლა და არც მომავალში გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენს ანგარიშში.

Building a better working world

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

Building a better working world

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საღერიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი საღერიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 27 აგვისტო

შპს „ბათუმის აეროპორტი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	*2018*	*2017*
შემოსავალი	6	25,704	21,257
საოპერაციო ხარჯები	7	(3,575)	(3,582)
მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(2,826)	(2,410)
ცვეთა და ამორტიზაცია		(564)	(394)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		18,739	14,871
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანაბრებზე		886	552
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა		930	612
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		20,555	16,035
მოგების გადასახადის ხარჯი	8	–	–
წლის მოგება		20,555	16,035
სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		20,555	16,035

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2019 წლის 27 აგვისტოს შპს ბათუმის აეროპორტის სახელით შემდეგი პირების მიერ:

უფლებამოსილი წარმომადგენელი

თარიქ [illegible]

8-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბათუმის აეროპორტი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	*2018*	*2017*
შემოსავალი	6	25,704	21,257
საოპერაციო ხარჯები	7	(3,575)	(3,582)
მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(2,826)	(2,410)
ცვეთა და ამორტიზაცია		(564)	(394)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		**18,739**	**14,871**
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანაბრებზე		886	552
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა		930	612
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		**20,555**	**16,035**
მოგების გადასახადის ხარჯი	8	–	–
წლის მოგება		**20,555**	**16,035**
სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**20,555**	**16,035**

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2019 წლის 27 აგვისტოს შპს ბათუმის აეროპორტის სახელით შემდეგი პირების მიერ:

უფლებამოსილი წარმომადგენელი

თარიქ ოსმანაღაოღლუ

8-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბათუმის აეროპორტი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნები	*2018*	*2017*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	4,353	2,609
საინვესტიციო ქონება	10	497	497
არამატერიალური აქტივები		18	11
სულ გრძელვადიანი აქტივები		**4,868**	**3,117**
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		386	198
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	11	1,541	420
გადახდილი ავანსები		91	107
სხვა აქტივები		96	61
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	15,795	14,137
სულ მიმდინარე აქტივები		**17,909**	**14,923**
სულ აქტივები		**22,777**	**18,040**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	848	848
გაუნაწილებელი მოგება	13	20,555	16,035
სულ კაპიტალი		**21,403**	**16,883**
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	14	967	649
მიღებული ავანსები	15	133	334
სხვა ვალდებულებები	16	274	174
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**1,374**	**1,157**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**22,777**	**18,040**

8-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბათუმის აეროპორტი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**848**	**6,393**	**7,241**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	16,035	**16,035**
დივიდენდები (მე-13 შენიშვნა)	–	(6,393)	**(6,393)**
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**848**	**16,035**	**16,883**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	20,555	**20,555**
დივიდენდები (მე-13 შენიშვნა)	–	(16,035)	**(16,035)**
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**848**	**20,555**	**21,403**

8-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბათუმის აეროპორტი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	*2018*	*2017*
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		20,555	16,035
არაფულადი კორექტირება დასაბეგრი მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით:			
ცვეთა და ამორტიზაცია		564	394
წმინდა საკურსო შემოსულობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(831)	(24)
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანაბრებზე		(886)	(552)
		19,402	**15,853**
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები:			
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(188)	24
ცვლილება სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებში	11	(1,121)	(64)
ცვლილება სხვა აქტივებში		(35)	(627)
ცვლილება გადახდილ ავანსებში		16	(39)
ცვლილება სავაჭრო კრედიტორულ დავალიანებაში	14	318	389
ცვლილება მიღებულ ავანსებში	15	(201)	232
ცვლილება სხვა ვალდებულებებში	16	100	18
		(1,111)	**(67)**
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**18,291**	**15,786**
საინვესტიციო საქმიანობა			
მიღებული პროცენტი		886	552
ძირითადი საშუალებების შეძენა	9	(2,298)	(584)
სხვა არამატერიალური აქტივების შეძენა		(17)	(17)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(1,429)**	**(49)**
ფინანსური საქმიანობა			
გადახდილი დივიდენდები	13	(16,035)	(6,393)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(16,035)**	**(6,393)**
წმინდა საკურსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		831	24
წლის ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**1,658**	**9,368**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		**14,137**	**4,769**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**12**	**15,795**	**14,137**

8-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ბათუმის აეროპორტი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2000 წლის 15 ივნისს. „კომპანია რეგისტრირებულია ქალაქ ბათუმში და მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი, №220. „კომპანიის“ 100% წილის მფლობელია სსიპ „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო“.

2007 წლის 9 აგვისტოს სსიპ „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა“ და შპს „თავ ბათუმი ოფერეიშენს“ (შემდგომში „თავ ბათუმი“) შორის გაფორმებული წილის მართვის ხელშეკრულების თანახმად, და საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 ივლისის №377 განკარგულებით განისაზღვრა „კომპანიის“ 100% წილის 20 წლის მართვის უფლების გადაცემა „თავ ბათუმისთვის“. ხელშეკრულების თანახმად „თავ ბათუმს“ აქვს უფლება მიიღოს „კომპანიის“ მიერ გაცემული საოპერაციო შემოსავლებისგან მიღებული დივიდენდები.

„კომპანია“ ეწევა შემდეგ საქმიანობას: საავიაციო მომსახურება, სახმელეთო მომსახურება, ლაუნჯის მომსახურება. ავტოსადგომის მომსახურება, ფართის განაწილება, კონცესიის შემოსავალი და სხვ.

„თავ ბათუმის” მფლობელობის სტრუქტურა 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის ასეთია:

	2018	2017
TAV Havalimanlari Holding A.S.	76%	76%
Aeroser International Holding (U.K.) Limited	24%	24%
სულ	**100.00%**	**100.00%**

„თავ ბათუმის” საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის Aéroports de Paris.

2. მომზადების საფუძველი

„კომპანიის” ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს („სბსს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვაგვარად არ არის მითითებული. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

(ა) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე- და გრძელვადიანად

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად/გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია’ გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები მიეკუთვნება გრძელვადიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

(ბ) უცხოური ვალუტები

„კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც „კომპანიის“ სამუშაო ვალუტაცაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების აღიარების თარიღისათვის დადგენილი ლარის გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ლარის მიმდინარე გაცვლითი კურსის შესაბამისად. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმომდგარი სხვაობები ასახულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(გ) შემოსავლის აღიარება

(i) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც „კომპანიაში“ ეკონომიკური სარგებელის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის ხდება ფულადი სახსრების მიღება. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. „კომპანია“ შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს სპეციალურ კრიტერიუმებს ადარებს, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპალად გამოდის თუ პრინციპალის აგენტ მხარედ. „კომპანიამ“ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის ყველა შეთანხმებაში იგი პრინციპალად გამოდის. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს ქვემოთ აღწერილი აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

შემოსავლების ტიპების უმრავლესობის აღიარება ხდება კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. „კომპანიას“ ძირითადად შემოსავლის შემდეგი ტიპები აქვს (მე-6 შენიშვნა).

ავიამომსახურების შემოსავალი და სახმელეთო მომსახურება

ავიამომსახურებიდან შემოსავლის და სახმელეთო მომსახურების აღიარება ხდება ყოველდღიური ანგარიშების საფუძველზე, რომლებშიც ასახულია ავიაკომპანიებისგან კლიენტების მიერ გადახდილი სატერმინალო მომსახურების ღირებულება, ასევე თვითმფრინავის მიერ გამოყენებული ტრაპისა და ავიაკომპანიების მიერ გამოყენებული მგზავრთა რეგისტრაციის პუნქტის შესახებ ინფორმაცია. თითოეული კონკრეტული მომსახურების გაწევა განიხილება ინდივიდუალურ შესასრულებელ მოვალეობად.

შემოსავალი ფართობის განაწილებიდან

შემოსავალი ფართობის განაწილებიდან აღიარდება დროის განმავლობაში. შესასრულებელი მოვალეობა კმაყოფილდება დროის გავლით და „კომპანია“ ყოველთვიურად აღიარებს შემოსავალს აეროპორტის განაწილებულ ტერიტორიებზე გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ინვოისების გაცემისთანავე. შემოსავალი ფართობის განაწილებიდან წარმოადგენს შემოსავალს საოპერაციო იჯარიდან და აღირიცხება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

შემოსავალი პარკირების ოპერაციებიდან

ავტოსადგომის და სხვა დამატებითი მომსახურებიდან შემოსავლის აღიარება ხდება კონკრეტულ მომენტში, სახმელეთო მომსახურების პერსონალისგან და ავიაკომპანიებისგან მიღებული ყოველდღიური ანგარიშების საფუძველზე ასაფრენ-დასაჯდომი ზოლის გამოყენების (დაშვება და აფრენა), ავტოსადგომის და თვითმფრინავების მიერ გაწეული სხვა მომსახურების შესახებ. თითოეული კონკრეტული მომსახურების გაწევა განიხილება ინდივიდუალურ შესასრულებელ მოვალეობად.

შემოსავალი ლაუნჯის მომსახურებიდან და საკონცესიო მოსაკრებლიდან

„კომპანია“ დაკავშირებულ მხარეებზე ქვეკონტრაქტით გასცემს დაუბეგრავი სავაჭრო მაღაზიებისა და საკვები და სასმელი პროდუქტების ვაჭრობის სივრცეების ოპერირების და ასევე ლაუნჯ სერვისის მიწოდების უფლებას. დაკავშირებული მხარეები „კომპანიას“ სანაცვლოდ უხდიან თავიანთი შემოსავლის წინასწარ დადგენილ პროცენტულ წილს საკომისიო მოსაკრებლის სახით. შესასრულებელი მოვალეობა კმაყოფილდება დროის გასვლის კვალდაკვალ და „კომპანია“ შემოსავალს აღარებს ყოველთიურ ჭრილში., საკომისიო მოსაკრებლის შემოსავლად აღიარება ხდება ქვეკონტრაქტორი საწარმოების მიერ ყოველ 2-3 დღეში „კომპანიისთვის“ მიწოდებული გაყიდვების ანგარიშების საფუძველზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(გ) შემოსავლის აღიარება (გაგრძელება)

(ii) საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

(დ) გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-8 შენიშვნა). მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. „კომპანიის“ მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(დ) გადასახადები (გაგრძელება)

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებითი ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის დებიტორული ან კრედიტორული დავალიანების ნაწილში.

წმინდა საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით.

ამიტომ „კომპანია“ თითოეული სამეურნეო სუბიექტის ყველა საგადასახადო დავალიანებასა და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

(ე) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თვითღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადს და აქტივის დანიშნულებისამებრ ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მიყვანის, ასევე ბათუმის აეროპორტის განვითარებისა და გაუმჯობესების პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც კაპიტალიზდება საიჯარო ქონების გაუმჯობესების სახით ძირითადი საშუალებების მუხლში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების კომპონენტის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ მიიღებს ამ კომპონენტის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეიძლება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური ხარჯის აღიარება ხდება მისი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(iii) აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ე) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

(iv) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ყოველი ერთეულის ცვეთის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადებზე, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო საშუალო ვადაა:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში
შენობა-ნაგებობები	20 წელი
მანქანა-დანადგარები	5-15 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
ავეჯი და მოწყობილობები	5-15 წელი
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	5-20 წელი

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, დაკორექტირდება.

(ვ) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება, პირველადი აღიარებისას და შემდგომ, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს გარიგების დანახარჯებს ბასს 16-ის "ძირითადი საშუალებები" შესაბამისად.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მათი გასხვისების დროს ან როდესაც ხდება საინვესტიციო ქონების ექსპლუატაციიდან საბოლოდ ამოღება და მოსალოდნელი არ არის მათი გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის აღიარება ხდება აღიარების შეწყვეტის პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

საინვესტიციო ქონების მუხლიდან გადატანა ან ამ მუხლში გადმოტანა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც აღნიშნული ქონების ექსპლუატაციაში გარკვეული ცვლილება აღინიშნება. საინვესტიციო ქონებიდან მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონების ანგარიშზე ქონების გადატანის შემთხვევაში შემდგომი აღრიცხვისთვის პირობითი ღირებულება არის საბალანსო ღირებულება ექსპლუატაციაში მომხდარი ცვლილების თარიღისთვის. თუ მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება იქცევა საინვესტიციო ქონებად, „კომპანია“ ასეთ ქონებას აღრიცხავს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის პოლიტიკის შესაბამისად ექსპლუატაციაში ცვლილების მოხდენის თარიღამდე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად კომპანიის ბიზნეს მოდელზე. „კომპანია“ ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც „კომპანიამ“ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით განსაზღვრული გარიგების ფასით.

ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას და განმეორებით აფასებს მას.

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;

მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით.

„კომპანია“ ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

„კომპანიამ“ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი უნდა აღრიცხოს თავის ყველა სავალო ფინანსურ აქტივზე ამორტიზებული ღირებულებით. „კომპანია“ იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, „კომპანია“ ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. „კომპანიამ“ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

„კომპანია“ ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, „კომპანიამ“ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ „კომპანია“ სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება.

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც „კომპანია“ ფლობს 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით და მოიცავს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს და სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებს.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების გაუქმება ძირითადად მაშინ ხდება, როდესაც:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- „კომპანიამ“ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) „კომპანიამ“ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) „კომპანიამ“ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ „კომპანიამ“ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ „კომპანიამ“ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითაც ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, „კომპანია“ აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში „კომპანია“ მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება „კომპანიის“ მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა „კომპანიას“ დასჭირდეს, უმცირესით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(iii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები, დებიტორული დავალიანება ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისა და დებიტორული დავალიანების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

„კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო კრედიტორულ დავალიანებას.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დარიცხული ამორტიზაციის პროცესში.

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(iv) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, თუ არსებული კანონი იძლევა აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის უფლებას და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის სურვილი, ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის მიზნით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(v) სამართლიანი ღირებულებით შეფასება

„კომპანია“ ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით აფასებს თითოეული საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი „კომპანიისთვის“ ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

„კომპანია“ ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებებისას:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- დონე 3 – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

„კომპანია“ განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, „კომპანიამ“ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის „კომპანია“ აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, „კომპანია“ აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯით შემცირებული სამართლიანი

ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

„კომპანია“ გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება „კომპანიის“ ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები, ჩვეულებრივ, მოიცავს პერიოდს 2027 წლამდე, ანუ წილის მართვის ხელშეკრულების ვადის გასვლის თარიღამდე.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაუფასურებელი აქტივის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში.

(თ) ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში და სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ი) იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის გაფორმების თარიღით შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან შეიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია თუ არა გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე ან შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს უფლება მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

„კომპანია“, როგორც მეიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც „კომპანია“ არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავლისა, ხოლო კლასიფიცირება ხდება ფართობის განაწილებიდან მიღებული შემოსავლის სახით შემოსავლის მუხლში.

„კომპანია“, როგორც მოიჯარე

„აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად. იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს „კომპანიას“, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადახდების აღიარება ხდება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

(კ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

„კომპანიამ“ პირველად გამოიყენა სტანდარტში შესული გარკვეული ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. „კომპანიას“ ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული. ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ თითოეული ცვლილების ხასიათსა და გავლენას:

2014 წლის ივლისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს (IFRS) 9-ის *ფინანსური ინსტრუმენტები* საბოლოო ვერსია, რომელიც ჩაანაცვლებს ბას (IAS) 39-ს *ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება* და ფასს (IFRS) 9-ის ყველა ადრინდელი ვერსია. ფასს (IFRS) 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს (IFRS) 9 ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულო არ არის. ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში, მოთხოვნები, როგორც წესი, პერსპექტიულად გამოიყენება, გარკვეული იშვიათი გამონაკლისებით. „კომპანიამ“ ფასს (IFRS) 9 გამოიყენა 2018 წლის 1 იანვრიდან სრულად რეტროსპექტული მიდგომის საფუძველზე. ფასს 9-ის გამოყენებას ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი გავლენა არ ჰქონია.

ფასს (IFRS) 15 *ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან* გამოიცა 2014 წლის მაისში და განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგების ასახვისთვის. ფასს (IFRS) 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. შემოსავლების ახალი სტანდარტი ჩაანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ადრე არსებულ ყველა წესს. სრული რეტროსპექტული გამოყენება ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. „კომპანიამ“ ფასს (IFRS) 15 გამოიყენა 2018 წლის 1 იანვრიდან სრულად რეტროსპექტული მიდგომის საფუძველზე.

„კომპანია“ ავიახაზებისთვის სხვადასხვა საავიაციო მომსახურების სფეროში საქმიანობს. „კომპანია“ ცალ-ცალკე აფორმებს ხელშეკრულებას თითოეულ ავიაკომპანიასთან, რომლებშიც ასახავს თითოეული მომსახურების ღირებულებას. თითოეული მომსახურების წარმოადგენს ინდივიდუალურ შესასრულებელ მოვალეობად. საავიაციო მომსახურებების გარდა, „კომპანია“ შემოსავლის გენერირებას ახდენს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე ფართების იჯარიდან და შესაბამისი საკონცესიო მოსაკრებლით. შესაბამისი ხელშეკრულებები კლიენტებთან მოიცავს ფიქსირებულ ყოველთვიურ საიჯარო თანხას და განსაზღვრულ კონცესიის საკომისიო გასამრჯელო, რომლებიც ეფუძნება კონცესიების გაყიდვების მოცულობებს და ხელშეკრულებებში განსაზღვრულ ფიქსირებულ განაკვეთებს. ადრე „კომპანია“ შემოსავლების აღრიცხვას ახდენდა მომსახურების გაწევისას, მათი სახელშეკრულებო გასამრჯელოების საფუძველზე. ფასს (IFRS) 15-ის ფარგლებში, შემოსავლის აღიარების შაბლონი არ შეცვლილა; შესაბამისად ფასს (IFRS) 15-ს მიღებას არ ჰქონია გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასიკ (IFRIC) 22 - *ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად* - ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. მასში განსაზღვრულია, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის დადგენისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არაერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, საწარმომ თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე უნდა განსაზღვროს ოპერაციის თარიღი. ვინაიდან „კომპანიის“ არსებული პრაქტიკა შეესაბამება ინტერპრეტაციას, ამ უკანასკნელის გამოყენებას გავლენა არ ჰქონია მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. „კომპანია“ ამ სტანდარტების მიღებას შემლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს (IFRS) 16 - იჯარა

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს *„იჯარა“*, ფასიკ (IFRIC) 4-ს *„როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“*, იმკ (SIC) 15-ს *„საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“* და იმკ (SIC) 27-ს *„გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“*. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - "დაბალი ღირებულები მქონე" აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას საბაზისო აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს (IFRS) 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს (IAS) 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს (IAS) 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს (IFRS) 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს (IAS) 17-ის თანახმად ხდებოდა.

ფასს (IFRS) 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს (IFRS) 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. „კომპანია“ ამ ეტაპზე აფასებს ფასს (IFRS) 16–ის მიღების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე. „კომპანია“ ელოდება რომ აღნიშნული გავლენა იქნება მნიშვნელოვანი.

სხვა ცვლილებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა, და რომლებიც ვრცელდება „კომპანიაზე“, ფასს (IFRS) 9-ის ცვლილებით იზღუდება: *საავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით* და ფასიკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია - *„მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“*. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ მათ გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება

„კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია „კომპანიის“ სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

ქონების იჯარის კლასიფიკაცია - „კომპანია“, როგორც მოიჯარე

2015 წლის 28 მაისიდან „კომპანიას“, როგორც მოიჯარეს, იჯარის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასთან“ ბათუმის აეროპორტზე. იჯარის ხელშეკრულება მოქმედებს 2027 წლის 10 აგვისტომდე. ხსენებული ხელშეკრულებების პირობებისა და ვადების შეფასების საფუძველზე, როგორიცაა ის, რომ იჯარის ვადა არ შეადგენს კომერციული ქონების ეკონომიკური მომსახურების ვადის დიდ ნაწილს და ის, რომ მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულება არსებითად არ შეადგენს კომერციული ქონების სამართლიან ღირებულებას, „კომპანიამ“ განსაზღვრა, რომ ამ ქონებების საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი რჩება შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას“ და ხელშეკრულებებს აღრიცხავს საოპერაციო იჯარის სახით.

შეფასებები და დაშვებები

ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტირებების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს. „კომპანიამ“ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება „კომპანიის“ კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

მიმდინარე გადასახადები

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ „კომპანიის“ ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს „კომპანიის“ ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს.

ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და „კომპანიას“ დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საქართველოს კანონმდებლობა, საგადასახადო კანონმდებლობის ჩათვლით, არ არის იმდენად დახვეწილი, რომ კონცესიის ხელშეკრულების ყველა იურიდიული თუ საგადასახადო ასპექტის შესახებ გვთავაზობდეს დეტალურ მითითებებს.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სათანადოდ განმარტავს შესაბამის კანონმდებლობას და რომ „კომპანიის“ საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული შეფასებები უცვლელი დარჩება (მე-8 შენიშვნა).

6. შემოსავალი

	2018	*2017*
შემოსავალი ავიამომსახურებიდან	12,759	10,123
შემოსავალი სახმელეთო მომსახურებიდან	8,897	7,506
დაუბეგრავი სავაჭრო მაღაზიების კონცესიის საკომისიო მოსაკრებელი	2,629	2,391
სარეკლამო შემოსავალი	476	449
საკსაკვები და სასმელი პროდუქტებით ვაჭრობის სივრცეების კონცესიის საკომისიო მოსაკრებელი	276	209
შემოსავალი ფართობის განაწილებიდან	241	232
შემოსავალი ლაუნჯის მომსახურებიდან	191	155
შემოსავალი ავტომანქანების პარკირების მომსახურებიდან	126	69
სხვა შემოსავალი	109	123
	25,704	**21,257**

ხელშეკრულების ნაშთები

	2018	*2017*
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები (მე-11 შენიშვნა)	1,541	420
სახელშეკრულებო ვალდებულებები:		
მიღებული ავანსები (მე-15 შენიშვნა)	133	334
მიღებული ანაბრები და გარანტიები (მე-14 შენიშვნა)	324	155

საანგარიშგებო პერიოდის ამონაგები, რომელიც აღაირებული იქნა საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვის არსებული სახელშეკრულებო ვალდებულებების ნაშთებიდან 2018 და 2017 წლებში შეადგენს 334 ლარს და 102 ლარს, შესაბამისად.

7. საოპერაციო ხარჯები

	2018	*2017*
უსაფრთხოების მომსახურების ღირებულება	1,049	887
საკონსულტაციო მომსახურების ღირებულება	496	192
საიჯარო გადახდები საქართველოს აეროპორტების გაერთიანების მიმართ	460	913
დაზღვევა	374	398
შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯი	292	385
ავიადისპეტჩერული მომსახურება	246	230
კომუნალური სისტემის ხარჯები	166	193
საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის ხარჯის გარდა	127	58
საწვავ-საცხები მასალები	63	61
იჯარა	56	58
კომუნიკაციის და საკანცელარიო საქონლის ხარჯები	45	32
სარეკლამო ხარჯები	23	32
საბანკო მომსახურების საზღაური და საკომისიო	21	16
სხვა ხარჯები	157	127
	3,575	**3,582**

8. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოგების გადასახადის განაკვეთისგან. ქვემოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით მოგების გადასახადის ხარჯი შესაბამისობაშია მოყვანილი გადასახადის რეალურ ოდენობასთან:

	2018	*2017*
დივიდენდები	**16,035**	**6,393**
კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთი	–	15/85
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი საკანონმდებლო განაკვეთით	–	**1,128**
2008-2016 წლებთან დაკავშირებით გადახდილი მოგების გადასახადიდან ჩათვლილი	–	(1,128)
მოგების გადასახადის ხარჯი	–	**–**

2018 წელს „კომპანიას“ არ უღიარებია მოგების გადასახადი რამდენადაც გაცემული დივიდენდი ქართული შეზღდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე არ ექვემდებარება დაბეგვრას.

9. ძირითადი საშუალებები

	შენობა-ნაგებობები	ავტოსატრანს-პორტო საშუალებები	ავეჯი და მოწყობილობები	მანქანა-დანადგარები	საიჯარო გაუმჯობესებები	*სულ*
თვითღირებულება						
1 იანვარი, 2017 წ.	**48**	**170**	**603**	**957**	**1,869**	**3,647**
შემოსვლები	–	–	28	6	550	584
31 დეკემბერი, 2017 წ.	**48**	**170**	**631**	**963**	**2,419**	**4,231**
შემოსვლები	–	189	221	274	1,614	2,298
გასვლები	–	–	(31)	(2)	(1)	(34)
31 დეკემბერი, 2018 წ.	**48**	**359**	**821**	**1,235**	**4,032**	**6,495**
1 იანვარი, 2017 წ.	**24**	**132**	**361**	**279**	**444**	**1,240**
ცვეთის დანარიცხი	2	13	93	91	183	382
31 დეკემბერი, 2017 წ.	**26**	**145**	**454**	**370**	**627**	**1,622**
ცვეთის დანარიცხი	2	31	46	94	376	549
გასვლები	–	–	(27)	(2)	–	(29)
31 დეკემბერი, 2018 წ.	**28**	**176**	**473**	**462**	**1,003**	**2,142**
1 იანვარი, 2017 წ.	**24**	**38**	**242**	**678**	**1,425**	**2,407**
31 დეკემბერი, 2017 წ.	**22**	**25**	**177**	**593**	**1,792**	**2,609**
31 დეკემბერი, 2018 წ.	**20**	**183**	**348**	**773**	**3,029**	**4,353**

10. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთი 34,505 კვ/მ და „კომპანია“ მისგან საიჯარო შემოსავალს იღებს. საინვესტიციო ქონება აღიარებულია თვითღირებულებით.

ქონების საბაზრო მეთოდით შეფასებული სამართლიანი ღირებულება ერთ კვ/მ-ზე მერყეობს 0.12 ლარსა და 0.2 ლარს შორის. შემოსავალმა საინვესტიციო ქონების იჯარიდან შეადგინა 30 ლარი (2017 წ.: 30 ლარი).

11. სავაჭრო დებიტორული ანგარიშები

	2018	*2017*
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	1,541	420
დებიტორული ანგარიშების რეზერვი	–	–
სულ სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	**1,541**	**420**

დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება და მისი დაფარვის ვადა, როგორც წესი, 30-60 დღეა.

31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო დებიტორული დავალიანების ანალიზი ხანდაზმულობის ვადების მიხედვით ასეთია:

			ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული		
	სულ	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	<30 დღე	<90 დღე	90-180 დღე
31 დეკემბერი 2018	1,541	776	202	220	343
31 დეკემბერი 2017	420	400	20	–	–

90 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე თანხები წარმოადგენს მოთხოვნას ერთი ავიაკომპანიის მიმართ. ამ კონტრაგენტისგან გადახდის შეფერხება და მოთხოვნის თანდათანობით დაგროვება დაიწყო 2018 წლის მეორე ნახევრიდან. მიუხედავად ხანდაზმულობისა, ავიაკომპანიამ განაგრძო გადახდები 2019-ში როგორც მიმდინარე დავალიანებების, ასევე 2018 წლის ბოლოსთვის დაგროვებული ვადაგადაცილებული დავალიანების და ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისათვის გადახდილია 243 ლარი.

12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2018	*2017*
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში	15,791	14,134
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	4	3
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	**15,795**	**14,137**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში შედგება ეროვნულ ვალუტაში განთავსებული 2,710 ლარისა და უცხოურ ვალუტაში - 13,081 ლარის მიმდინარე ანგარიშებისგან, (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 2,774 ლარი და 11,360 ლარი, შესაბამისად).

მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს ერიცხება საპროცენტო შემოსავალი, რომელმაც 2018 წელს შეადგინა 886 ლარი (2017 წ.: 552 ლარი).

13. კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 848 ლარს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიას“ ჰქონდა 20,555 ლარის გაუნაწილებელი მოგება (2017 წლის 31 დეკემბერი: 16,035 ლარი).

2018 წლის განმავლობაში „კომპანიამ“ გამოაცხადა და გადაიხადა 16,035 ლარის ოდენობის დივიდენდი (2017 წ.: 6,393 ლარი).

14. სავაჭრო კრედიტორული დავალიანება

	2018	*2017*
მიღებული ანაბრები და გარანტიები (ა)	324	155
აეროპორტის მომსახურებებში გადასახდელი თანხები	643	494
სულ სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	**967**	649

(ა) მიღებული ანაბრები და გარანტიები წარმოადგენს „კომპანიის“ კლიენტების მიერ განთავსებულ საგარანტიო შენატანებს ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში საქმიანობის დაწყებისას. ეს შენატანები ექვემდებარება დაბრუნებას მაშინ, როდესაც კლიენტი გადაწყვეტს ბათუმის საერთაშორისო აეროპორტიდან გასვლას ან ხელშეკრულების შეწყვეტისას.

15. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოადგენს ავიახაზების მიერ წინასწარ გადახდილ ავიამომსახურების საფასურს და ფართის განაწილებისათვის მიღებულ ავანსებს და უტოლდება 133 ლარს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2017 წლის 31 დეკემბერი: 334 ლარი).

16. სხვა ვალდებულებები

	2018	*2017*
გამოუყენებელი შვებულებების რეზერვი	170	130
სხვა საგადასახადო დავალიანება	–	1
სხვა დავალიანება	104	43
სულ სხვა ვალდებულებები	**274**	**174**

17. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები - „კომპანია“ როგორც მოიჯარე

„კომპანიას“ აქვს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასთან“ რომლის მიხედვითაც „კომპანიას“ გადაეცა ქონება იჯარით ნებადართული სარგებლობისათვის. საკუთრების უფლება იჯარის ხელშეკრულების აქტივებზე ეკუთვნის საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას, ხოლო „კომპანია“ ამ აქტივებს მართავს იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად. იჯარის საფასურის სახით „კომპანია“ აეროპორტების გაერთიანებას გადახდილ ქონებისა და მიწის გადასახადს უნაზღაურებს.

17. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

ამ შეთანხმების მიხედვით, მომავალი საიჯარო მინიმალური გადასახდელებია:

	2018	*2017*
ერთი წლის განმავლობაში	512	460
ერთი წლის შემდეგ, მაგრამ არაუმეტეს ხუთი წლისა	1,900	1,958
5 წელზე მეტი ხნის შემდეგ	1,291	1,745
	3,703	**4,163**

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები - „კომპანია“, როგორც მეიჯარე

„კომპანიას“, როგორც მეიჯარეს, საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული მის კუთვნილ მიწაზე, რომელიც კლასიფიცირებულია საინვესტიციო ქონებად. აღნიშნული იჯარის ხელშეკრულების ვადა 2027 წლის 1 აგვისტომდეა. იჯარის ხელშეკრულების თანახმად იჯარის გადასახადი იცვლება წლიდან წლამდე. 31 დეკემბრის მდგომარეობით არაგაუქმებად საოპერაციო იჯარებზე მინიმალური სამომავლო მოთხოვნები ასე გამოიყურებოდა:

	20	*2017*
ერთი წლის განმავლობაში	25	25
ერთი წლის შემდეგ, მაგრამ არაუმეტეს ხუთი წლისა	102	102
5 წელზე მეტი ხნის შემდეგ	91	117
	218	**244**

18. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, ზოგადად, ითვლება დაკავშირებულად, თუ მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

„თავ ბათუმი” „კომპანიის“ 100% წილის მმართველია. TAV Havalimanlari Holding-ი „თავ ბათუმის“ მშობელი კომპანიაა. ქვემოთ ჩამოთვლილი სხვა კომპანიები წარმოადგენენ TAV Havalimanlari Holding-ის კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს.

18. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

(i) გარიგებები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

2018	გაყიდვები დაკავშირებული მხარეებზე	შესყიდვები დაკავშირებული მხარეებისგან	დივიდენდი	მისაღები თანხა/ (დავალიანება)
შპს „ეი თი იუ ჯორჯია“ (ა)	2,646	–	–	105
შპს „ბი-თი-ეი ჯორჯია“ (ბ)	276	–	–	11
შპს „თავ ჯორჯია ოპერეიშენს“ (გ)	191	(127)	–	(8)
შპს „თავ ურბან საქართველო“	–	(37)	–	(2)
TAV Bilisim Hizmetleri A.S. (დ)	22	(232)	–	–
HAVAS Havaalanlari Yer Hizmetleri A.S.	5	(72)	–	
შპს „თავ ბათუმი ოფერეიშენს“	–	(26)	(16,035)	–
TAV Holding	–	(271)	–	(47)
	3,140	**(765)**	**(16,035)**	**59**

2017	გაყიდვები დაკავშირებული მხარეებზე	შესყიდვები დაკავშირებული მხარეებისგან	დივიდენდი	მისაღები თანხა/ (დავალიანება)
შპს „ეი თი იუ ჯორჯია“ (ა)	2,407	–	–	65
შპს „ბი-თი-ეი ჯორჯია“ (ბ)	210	(3)	–	5
შპს „თავ ჯორჯია ოპერეიშენს“ (გ)	155	(121)	–	(6)
შპს „თავ ურბან საქართველო“	19	(31)	–	(4)
TAV Bilisim Hizmetleri A.S. (დ)	–	(167)	–	–
შპს „თავ ბათუმი ოფერეიშენს“	–	(26)	(6,393)	–
	2,791	**(348)**	**(6,393)**	**60**

(ა) შპს „ეი თი იუ ჯორჯია“ ამუშავებს დაუბეგრავი ვაჭრობის მაღაზიას ბათუმის აეროპორტში. „კომპანია“ იღებს დაუბეგრავი გაყიდვების მიხედვით საკომისიო მოსაკრებელს.

(ბ) „კომპანიას“ ქვეკონტრაქტი აქვს გაფორმებული შპს „ბი-თი-ეი ჯორჯიასთან“ გარკვეული საკვები და სასმელი ობიექტების მუშაობაზე, საიდანაც იღებს გაყიდვების მიხედვით საკომისიო მოსაკრებელს.

(გ) შპს „თავ ჯორჯია ოფერეიშენს“ „კომპანიას“ უწევს საკონსულტაციო და ლაუნჯის მომსახურებას.

(დ) TAV Bilisim Hizmetleri A.S. ბათუმის აეროპორტს უწევს საინფორმაციო ტექნოლოგიურ მომსახურებას.

(ii) „კომპანიის“ ხელმძღვანელობის ანაზღაურება

„კომპანიის“ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა წარმოდგენილია 2 პირით. 2018 წელს მათი წლიური ანაზღაურება, 446 ლარს შეადგენდა, ხოლო ბონუსები და სხვა გასამრჯელოები - 113 ლარს (2017 წ.: 472 ლარი და 282 ლარი, შესაბამისად, 2 პირისგან შემდგარი უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის). „კომპანიის“ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა სხვა ანაზღაურებას არ იღებს.

19. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა

„კომპანიის“ ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო კრედიტორული ვალდებულებებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია „კომპანიის“ ოპერაციების დაფინანსება. „კომპანიის“ ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებს,

ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს, რომლებსაც ის პირდაპირ თავისი ოპერაციებიდან იღებს.

„კომპანიას“ აქვს საკრედიტო, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკები. „კომპანია“ დიდი ჯგუფის ნაწილია, ამიტომ მისი ფინანსური რისკების ზედამხედველობა და კონტროლი ჯგუფის დონეზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯები.

(i) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით „კომპანიას“ ფინანსური ზარალი მიადგება. „კომპანიას“ საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად სავაჭრო დებიტორული ანგარიშები) და ფინანსური საქმიანობიდან, ასევე ბანკებსა და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული ანგარიშებიდან გამომდინარე.

„კომპანიის“ საკრედიტო რისკზე გავლენას ძირითადად ახდენს თითოეული კლიენტის ინდივიდუალური მახასიათებლები. თუმცა, ხელმძღვანელობა მაკროეკონომიკურ ფაქტორებსაც ითვალისწინებს. „კომპანიამ“ შექმნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც თითოეული ახალი კლიენტის გადახდისუნარიანობის გაანალიზება ინდივიდუალურად ხდება, სანამ მოხდება კომპანიის სტანდარტული გადახდისა და მიწოდების ვადების შეთავაზება. კომპანიებთან, რომლებსაც შესაძლო რეპუტაციული რისკი ახლავთ, ხდება საავანსო ან/და სადეპოზიტო გადახდის პრინციპით თანამშრომლობა, რასაც მინიმუმამდე დაყავს შესაძლო საკრედიტო რისკი. კომპანიის მიმოხილვა გულისხმობს გარე რეიტინგებსაც, როდესაც ამის შესაძლებლობა არსებობს. „კომპანიის“ კლიენტების 90%-ზე მეტი მინიმუმ სამი წელია, რაც „კომპანიასთან“ თანამშრომლობს და ზარალის შემთხვევა იშვიათად დამდგარა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ „კომპანიას“ არ აქვს ზარალის მნიშვნელოვანი რისკი და შესაბამისად დადგენილი რეზერვები ნულის ტოლია (მე-11 შენიშვნა). ამის საფუძველს „კომპანიას“ აძლევს მისი გამოცდილება არსებულ კონტრაგენტებთან და ასევე არსებული შეთანხმება სამომავლო გადახდებზე ერთ კონტრაგენტთან, რომელსაც 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ქონდა ვადაგადაცილებული დავალიანება „კომპანიის“ მიმართ. არსებული შეთანხმების თანახმად აღნიშნული კონტრაგენტი ახორციელებს გრაფიკით დადგენილ გადახდებს მომდევნო პერიოდში და „კომპანიის“ შეფასებით ზარალის მნიშვნელოვანი რისკი არ არსებობს.

საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი ძირითადად კონტროლდება ნაღდი ფულის განთავსებით საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც „კომპანიასთან“ უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული.

ანგარიშგების თარიღისთვის საკრედიტო რისკის მთლიანი მოცულობა არის:

	საბალანსო ღირებულება	
	2018	*2017*
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები (მე-11 შენიშვნა)	1,541	420
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (მე-12 შენიშვნა)	15,795	14,137
	17,336	**14,557**

19. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ii) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. ძირითადი უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება მოქმედებს „კომპანიის“ ფინანსურ პოზიციაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

„კომპანია“ სავალუტო რისკს მართავს უცხოურ ვალუტაში ნაღდი ფულის ნაშთებით. სავალუტო რისკს ისიც ამცირებს, რომ შემოსავლებთან დაკავშირებული გარიგებების დიდი ნაწილი აშშ დოლარშია.

„კომპანიას“ აქვს შემდეგი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში:

	2018	*2017*
ფულადი სახსრები და მათ ეკვივალენტები	12,250	11,360
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	452	96
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	(33)	(496)
ნეტო პოზიცია 31 დეკემბრის მდგომარეობით	**12,669**	**10,960**

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია აშშ დოლართან მიმართებაში ლარის კურსის მოსალოდნელი ცვლილების გავლენა წმინდა მოგებაზე, სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობით:

	გამყარება	*გაუფასურება*
31 დეკემბერი 2018		
აშშ დოლარი (10%-იანი ცვლილება)	(1,087)	1,087
31 დეკემბერი 2017		
აშშ დოლარი (10%-იანი ცვლილება)	(2,415)	2,415

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ „კომპანიას“ გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ „კომპანიის“ მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და „კომპანიის“ რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

„კომპანია“ ფულად ნაკადებს ყოველდღიურად იღებს რეგულარული კლიენტებისგან. ეს უზრუნველყოფს „კომპანიისთვის“ საკმარისი ფულადი სახსრების არსებობას, რომ მან თავისი ფინანსური ვალდებულებები დაფაროს.

არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი ოდენობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,193 ლარია (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 823 ლარი) და მათი დაფარვის ვადა 2-დან 12 თვემდეა. ფულადი ნაკადების ვადები და თანხები არ არის მოსალოდნელი რომ იყოს განსხვავებული ვადიანობის ანალიზში აღწერილისგან.

19. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(iv) სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ თანხის დაახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შემდგარი გარიგების დროს. „კომპანიის“ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო. ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც განსაზღვრულია, სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-3 დონით ფასდება, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც ფასდება 1-ლი დონით.

(v) კაპიტალის მართვა

„კომპანია“ მართავს თავის კაპიტალის სტრუქტურას და მასში შეაქვს კორექტირებები ეკონომიკურ პირობებში ცვლილებების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნებისა თუ კორექტირებისთვის, „კომპანიამ“ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელისთვის დივიდენდის გაცემა.

20. ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

2019 წლის 9 ივლისს ხელი მოეწერა „კომპანიასა“ და ერთ-ერთ ავიაკომპანიას შორის 2018 წლის ბოლოს არსებული დავალიანების გრაფიკის მიხედვით (გადახდები 2019 წლის ივნისიდან 2019 წლის დეკემბრის ჩათვლით) გადანაწილებისა და ოპერაციების სხვა პირობებში ცვლილებების შესახებ.